ხელშეკრულება № 172
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 06 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი გამგებლის რობიზონ გვენეტაძეის სახით და მეორე ინდ. მეწ. „ნათია გურეშიძე" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ნათია გურეშიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას. CPV კლასიფიკატორის კოდი 24600000

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მეშახტის შრომის დიდების მემორიალის გახსნის ღონისძიებასთან დაკავშირებით 25 ერთეული ფეიერვერკის მოწოდება (შემდგომში „საქონელი").

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მირება-ჩაბარების აქტის ხელისმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი რობიზონ გვენეტაძე.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1.მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ტყიბული.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 08 ნოემბერს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსიალია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

შემსყიდველი

219E36259

MUNICIPALITY OF TKIBULI DIRECTION

მიმწოდებელი

53001060162

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წინდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,02%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2% ოდენობით.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

8.5. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქათველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკ რულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 06 ნოემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი"
ქ. ტყიბული კარლო ლომაძის მოედანი №3
საიდენტიფიკაციო კოდი 219636259

მიმწოდებელი

ინდ. მეწ. „ნათია გურეშიძე"
ქ. ქუთაისი. თამარ მეფის ქ.N34
საიდენთიფიკაციო კოდი 53001060168
ს.ს. „საქართველოს ბანკი, ბ.კ. BAGAGE22
ა.ა.GE40BG0000000890404800

შემსყიდველი

მიმწოდებელი